კონკურსი სააპელაციო საბჭოს წევრობის კანდიდატთა შესარჩევად

1) საბჭოს დასახელება:
სააპელაციო საბჭო

2) შესარჩევ კანდიდატთა რაოდენობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

სააპელაციო საბჭოს წევრების მიზანშეწონილი რაოდენობა: 12
ა) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის მიმართულება - 3 წევრი;
ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიმართულება - 3 წევრი;
გ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიმართულება - 3 წევრი;
დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მიმართულება - 3 წევრი;

სააპელაციო საბჭოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმითა და კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელი (ადმინისტრაციული, პედაგოგიური, სასწავლო/აკადემიური, სამეცნიერო პერსონალი), დამსაქმებელთა წარმომადგენელი, განათლების მიმართულებით მომუშავე სამოქალაქო (არასამთავრობო) სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელი, პროფესიული განათლების ექსპერტი, ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ექსპერტი, ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე პირი/ორგანიზაციების წარმომადგენელი, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მიმართულებით ასევე დარგობრივი სამინისტრო(ები)ს მმართველობის სფეროში შემავალი იურიდიული პირ(ებ)ის წარმომადგენლები, აგრეთვე, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი, რომელსაც გააჩნია საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების ან/და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიმართულებით სათანადო ცოდნა.

3) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის მიმართულება

ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში მომუშავე სასწავლო/აკადემიური ან/და სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში სასწავლო/აკადემიური ან/და სამეცნიერო მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება ბოლო 10 წლის განმავლობაში.

ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ექსპერტის კვოტით წარმოდგენილი კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში საექსპერტო სამუშაო(ები)ს განხორციელების არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება.

დარგობრივი სამინისტრო(ები)ს მმართველობის სფეროში შემავალი იურიდიული პირ(ებ)ის კვოტით წარმოდგენილი კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- შესაბამის დარგობრივ სამინისტროში/სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ იურიდიულ პირში მუშაობის გამოცდილება და აპელაციის საბჭოს წევრად წარდგენის მომენტისთვის დასაქმებულის სტატუსის ქონა აღნიშნულ დაწესებულებაში.

ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით მომუშავე სამოქალაქო (არასამთავრობო) სექტორის/ორგანიზაციის ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის ან/და ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე პირების/ორგანიზაციების კვოტით წარმოდგენილი კანდიდატ(ებ)ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში მუშაობის ან/და ამავე სფეროში პროექტების განხორციელების ან/და ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით არანაკლებ 2- წლიანი სამუშაო გამოცდილება.

დარგობრივი ასოციაციების კვოტით წარმოდგენილი კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან პროფესიული განათლება;
- წარმდგენ დარგობრივ ასოციაციაში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი მუშაობის გამოცდილება და სააპელაციო საბჭოს წევრად წარდგენის მომენტისთვის ამ ასოციაციის წევრობის სტატუსის ქონა.

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიმართულება

პედაგოგიური ან ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და პედაგოგიურ ან სამეცნიერო შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების სპეციფიკის ცოდნა და/ან ამ პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება.

დამსაქმებელთა წარმომადგენლის საკვალიფიკაციო მოთხოვები:

- ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შესაბამის სფეროში საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის გამოცდილება;
- საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენის დროისთვის მოქმედი დამსაქმებლის სტატუსის ქონა.

განათლების მიმართულების მომუშავე სამოქალაქო (არასამთავრობო) სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება;
- განათლების სფეროში არანაკლებ 2 -წლიანი მუშაობის გამოცდილება.

გ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიმართულება

დამსაქმებლის/მათი გაერთიანების წარმომადგენლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი ან პროფესიული განათლება;
- საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში, ამასთან საბჭოს წევრად წარდგენის მომენტისათვის საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულის სტატუსის ქონა;

დარგობრივი გაერთიანების წარმომადგენლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- პროფესიული განათლება ან/და უმაღლესი განათლება;
- შესაბამის დარგობრივ გაერთიანებაში ბოლო 1 წლის განმავლობაში საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულის სტატუსის ქონა;

სამოქალაქო სექტორის (არასამთავრობო) ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების წარამომადგენლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი ან პროფესიული განათლება;
- განათლების სფეროში არანაკლებ 2-წლიანი მუშაობის გამოცდილება;

პროფესიული განათლების ექსპერტების საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება;
- პროფესიული განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება და ბოლო 5 წლის განმავლობაში პროფესიული განათლების მიმართულებით სწავლების არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების სპეციფიკის ცოდნა ან/და ამ პროცესში მონაწილეობის გამოცდილება;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელი არ უნდა იყოს დაწესებულებაში ადმინისტრაციულ პოზიციაზე დასაქმებული პირი ან დაწესებულების დამფუძნებელი.

დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მიმართულება

სასწავლო/აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლის კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- არანაკლებ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და სასწავლო/აკადემიური ან შესაბამის სამეცნიერო სფეროში მუშაობის არანაკლებ 10-წლიანი გამოცდილება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების სპეციფიკის ცოდნა ან/და ამ პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება;
-

დამსაქმებელთა, ასევე, განათლების მიმართულებით მომუშავე სამოქალაქო (არასამთავრობო) სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შესაბამის სფეროში საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის გამოცდილება;
- საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენის დროისთვის მოქმედი დამსაქმებლის სტატუსის ქონა;

4) საბჭოს წევრის ფუნქციები

სააპელაციო საბჭოს წევრის ფუნქციები განისაზღვრება:

1. „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით;

2. ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით;

3. ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით.

5) განცხადების წარდგენის ვადა და წესი:

ა) სააპელაციო საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის შესახებ განცხადება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) შესაძლებელია წარადგინოს იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა:

- იურიდიული პირის მიერ საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის შემთხვევაში, ცენტრს წარედგინება განცხადება (<u>დანართი № 1</u>);
- ფიზიკური პირის მიერ მიმართვის შემთხვევაში ცენტრს წარედგინება განცხადება (<u>დანართი № 2</u>).

ბ) განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

- ავტობიოგრაფია (CV);
- ცნობა სამუშაო ადგილიდან;
- შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესაბამისად);
- კანდიდატის წერილობითი თანხმობა სააპელაციო საბჭოს წევრობის შესახებ (სავალდებულოა თუკი, განცხადებას წარმოადგენს იურიდიული პირი).

გ) განცხადების შემოტანის ვადა - **2024 წლის 20 მარტიდან 2024 წლის 5 აპრილის ჩათვლით.**

6) დამატებითი ინფორმაცია:

- საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე ან ავტორიზაციის / აკრედიტაციის საბჭოს წევრი;
- სააპელაციო საბჭოს უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 (ორი) წლით.

შენიშვნა:
შესარჩევი კომისია საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია საბჭოს წევრობის კანდიდატს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტი ან/და მოითხოვოს მასთან გასაუბრების ჩატარება.

განცხადებების მიღება წარმოებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონული ფოსტის - jobs@eqe.ge - მეშვეობით.

კითხვების არსებობის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ზემოაღნიშნულ ელექტრონულ ფოსტაზე, ან დაგვირეკოთ შემდეგ ნომერზე: 2 02 21 21 (+995 32 2 02 21 21).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს

წარმდგენი: _____

(იურიდიული პირის სრული სახელწოდება)

საიდენტიფიკაციო კოდი: _____

მისამართი: _____

ტელეფონი: _____

გთხოვთ განიხილოთ _____

(წარმდგენი იურიდიული პირის სრული დასახელება)

_____

(თანამდებობის/პოზიციის დასახელება სრულად)

დასაქმებული _____

(წარდგენილი პირის სახელი, გვარი (პირადი ნომერი ფრჩხილებში))

კანდიდატურა ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი საბჭოს წევრად შერჩევის მიზნით:

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
☐ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
☐ **სააპელაციო საბჭო:**

- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს კვოტით
- ☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს კვოტით
- ☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს /საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს კვოტით
- ☐ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს კვოტით

_____**შენიშვნა:**
გთხოვთ მონიშნოთ საბჭოს ერთ-ერთი დასახელება, რომლის კანდიდატად წარედგინება პირი

დანართი: _____ გვ.

_____ _____

(იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა/პოზიცია) (სახელი, გვარი)

ხელმოწერა: _____

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს

განმცხადებელი _____
(სახელი, გვარი)

პირადი ნომერი: _____

მისამართი: _____

ტელეფონი: _____

განცხადება

გთხოვთ, განიხილოთ _____

(სახელი, გვარი)

_____

(ორგანიზაციისა და თანამდებობის/პოზიციის დასახელება სრულად)

კანდიდატურა ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი საბჭოს წევრად შერჩევის მიზნით:

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

☐ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო

☐ **სააპელაციო საბჭო:**

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს კვოტით

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს კვოტით

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო/საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს კვოტით

☐ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს კვოტით

_____**შენიშვნა:**

გთხოვთ, მონიშნოთ საბჭოს ერთ-ერთი დასახელება, რომლის კანდიდატად წარედგინება პირი

დანართი: _____ გვ.

ხელმოწერა: _____